ხაშურის მოამბე

№14 (485) 20 აპრილი, კვირა, 2025 წელი

გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს!

ქრისტე აღსდგა! ჭეშმარიტად აღსდგა!

აღდგომა, მოძრავი დღესასწაულია, რომელიც აღინიშნება ახალი სტილით 4 აპრილსა და 8 მაისს შორის. ნიკეის პირველმა მსოფლიო საეკლესიო კრებამ 325 წელს დაადგინა ზეიმის აღნიშვნა გაზაფხულის ბუნიობისმომდევნო კვირას, იუდეველთა პასექის დასასრულს, უთუოდ მისგან განცალკევებით და კვირის ბოლოს.

ქრისტიანთათვის აღდგომა უდიდესი დღესასწაულია, რადგან იესო

ქრისტემ ჯვარცმითა და შემდეგ აღდგომით კაცობრიობას ჩაუსახა რწმენა სულის უკვდავებისა, საუკუნო ცხოვრებისა. ქრისტეს აღდგომა ძველის - ახლით, ბნელის - ნათელით, სიკვდილისა - სიცოცხლით შეცვლას ნიშნავს.

წმ. იოანე ოქროპირი ასე განმარტავს ამ უდიდესი დღესასწაულის მნიშვნელობას:

"დღეს აღესრულა, საყვარელნო, რაც მრავალი საუკუნის წინ თქვა დავით წინასწარმეტყველმა: "მწუხრი იყვნენ ტირილით და ცისკარს სიხარულით". რამეთუ მწუხარება, რომელმაც მოიცვა მოციქულნი უფლის ჯვარცმისას, მისი აღდგომის სიხარულით შეიცვალა; ხოლო ქრისტეს ჯვარმცმელების სიხარული ცისკარზე უფლის აღდგომით მათ სირცხვილად გადაექცათ."

წმინდა ილია მართლი სწერს:

"ქრისტიანობამ იცის, რისთვის აქებს და ადიდებს ამ დღეს: მკვდრეთით

აღდგა ქრისტე და აღადგინა თავისი კაცთა მხსნელი მოძღვრება, თავისი ახალი ცხოვრების მომნიჭებელი აღთქმა... დიდმა მოძღვრებამ ყოვლად მაცხოვარ სიყვარულისა გაჰფანტა ბნელი, გაადნო ყინული ძველის უწყალობისა და მოჰფინა იგი ნათელი და სითბო წყალობისა, ურომლისოდაც ქვეყნიერებაზედ არაფერი არ ხეირობს, არაფერი არ მოდის, არ იზრდება, არ ყვავის, არ ცოცხლობს. გაიყარა ძველი და ახალი, ბნელი და ნათელი, სიკვდილი და სიცოცხლე და მოგვანიჭა ცხოვრება იმიტომ, რომ მკვდარი იყო სული ჩვენი და ქრისტემ აღადგინა მკვდრეთით... თუ ზამთარი სახეა სიბერისა, მიძინებისა, სიკვდილისა, გაზაფხული სახეა ახლობლისა, აღდგომა - სიცოცხლისა."

აღდგომა გამორჩეულია მის აღნიშვნასთან დაკავშირებული საერო სიმბოლოებითაც, როგორიცაა წითელი კვერცხი, "არტოსი", პასკა.

წითელი კვერცხი

სააღდგომოდ ჩვენ ყველანი წითლად ვღებავთ კვერცხებს და ერთმანეთს ვუცვლით ამ სიტყვებით: "ქრისტე აღსდგა". ეს ჩვეულება ძალიან ძველია. არის გადმოცემა, რომ ამაღლებამდე იესო ქრისტემ თავისი მოწაფეები სხვადასხვა ადგილებში დაგზავნა, რათა ადამიანებისთვის მისი აღდგომის შესახებ ეხარებინათ. საქადაგებლად გაეშურა მარიამ მაგდალინელიც, რომლისგანაც მაცხოვარმა შვიდი ეშმაკი განდევნა და რომელმაც ღვთისმშობლის შემდეგ პირველმა იხილა მკვდრეთით აღმდგარი უფალი. წმიდა მარიამი რომში ჩავიდა და პირდაპირ იმპერატორის სასახლეს მიაშურა. იგი ცნობილი პიროვნება იყო და ამიტომ დაუბრკოლებლად გაატარეს სასახლეში. მან იმპერატორ ტიბერიუსს საჩუქრად კვერცხი გაუწოდა და ახარა: "ქრისტე აღსდგა". იმპერატორმა ქალს ეჭვით შეხედა და წამოიძახა: "როგორ შეეძლო მკვდარს აღმდგარიყო?! ეს ისევე დაუჯერებელია, როგორც ის, რომ ახლა ეს კვერცხი გაწითლდესო". სიტყვები ჯერ არ ჰქონდა დამთავრებული, რომ კვერცხი მართლაც გაწითლდა. ამ დღიდან მოყოლებული ქრისტიანები წითელი კვერცხებით ეგებებიან აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს. საერთოდ, კვერცხი მარდიული სიცოცხლის სიმბოლოა, რადგან მისგან ცოცხალი არსება იბადება, იესო ქრისტემ კი სიცოცხლე მოგვანიჭა. წითელ ფერში სისხლი მოიაზრება, რადგან იესო ქრისტემ თავისი სისხლით სიცოცხლე განწმიდა და აკურთხა.

პასკა

პასკას ქრისტიანები მაცხოვრის აღდგომის რწმენის ნიშნად აცხობენ. სიმბოლურად იგი გოლგოთას აღნიშნავს, მთას, სადაც აწამეს და ჯვარს აცვეს ქრისტე. სააღდგომო პასკა ფორმით არტოსს წააგავს, სადღესასწაულო პურს, რომელსაც ეკლესიაში აღდგომის დღეებში არიგებენ, თუმცა, მისგან განსხვავებით, საკმაოდ ტკბილი და ნოყიერია. სააღდგომო პასკაში აუცილებლად უნდა იყოს ბევრი ქიშმიში, სანელებლები და ცხიმი – ეს არის იმ დიდი დღესასწაულის ხორციელი გამოხატულება, რასაც კაცობრიობა აღდგომის ბრწყინვალე დღეებში განიცდის.

აღდგომასა და ბრწყინვალე შვიდეულში ეკლესიებში აღსავლის კარი არ იკეტება, რათა ყველამ იცოდეს, რომ სასუფეველი არასდროს არ არის ასე ახლოს ჩვენთან, როგორც ამ დღეებში.

„აღდგა“ თუ „აღსდგა?“

ყოველ აღდგომას, როგორც წესი, თითქმის მუდამ ახლავს პოლემიკა თუ რომელი ფორმულირებაა სწორი - „აღდგა“ თუ „აღსდგა“. ამის შესახებ ჩვენ ჯერ კიდევ გასულ წელს გავაკეთეთ განმარტება, მაგრამ, რადგან ეს თემა კვლავ აქტუალურია, თავს ნებას ვაძლევთ, კიდევ ერთხელ შემოგთავაზოთ ეს განმარტება და, შეძლებისდაგვარად, წერტილი დავუსვათ კამათს.

„აღდგა“ ერთპირიანი და მესამე სუბიექტური პირის ზმნაა. ცხადზე ცხადია, რომ მესამე ირიბი ობიექტის ნიშანი „ს“ მასთან არ უნდა იყოს, რადგამ მას ირიბი ობიექტი საერთოდ არ ეწყობა. მაგრამ აქ სრულიად განსხვავებულ ვითარებასთან გვაქვს საქმე. ჯერ ერთი, თვითონ ქრისტეს აღდგომა სასწაულებრივ მოვლენას გულისხმობს - ყველანაირი მოვლენისა თუ ფაქტისაგან სრულიად განსხვავებულს, ამიტომ ვითომ რატომ არ უნდა გამოირჩეს დანარჩენი „აღდგომისა“ თუ „ადგომისაგან?“

სულ უბრალო მაგალითის მოყვანაც საკმარისია, რომ დაგარწმუნოთ ამის ჭეშმარიტებაში. ვთქვათ, რაღაც ხუხულა იდგა, ქარმა დაანგრია და შემდეგ მეპატრონემ აღადგინა (შემინდე, უფალო, თუ უხერხულ შედარებას ვაკეთებ). გასაგებია, რომ ხუხულა აღდგა. ამ კონტექსტის შემდეგ, შეიძლება იმ სასწაულ მოვლენაზეც იგივე სიზუსტით ვისარგებლოთ ფონემების რიგითობით და ვთქვათ ქრისტე აღდგა? არამც და არამც! მეტიც, მკრეხელობაც კი გვგონია ასეთი გამოთქმა. დიახ, გრამატიკული კატეგორიები შორს უნდა დავიჭიროთ ამ მოვლენის „აღსაწერად“, რადგან ამ შემთხვევაში, მთავარი გრამატიკულად მისაღები კი არა, გულისთვის და სულისთვის მისაღები ფორმა უნდა ავახმიანოთ - აღსდგა.

მე არ მინდა, მკითხველს თავი შევაწყინო ლინგვისტური წიაღსვლებით და ძალიან მოკლედ ვიტყვი: ლინგვისტიკაში არსებობს ცნება უზუსი, რაც, ერთგვარად, სალიტერატურო ნორმებთან დაპირისპირებას გულისხმობს. სულ უბრალო მაგალითი: ოფიციალური წერილისას, თუ პიროვნებას მივმართავთ და წერილს ამ მიმართვით ვიწყებთ (მაგალითად, ბატონო გიორგი), გრამატიკულად აუცილებელია, მაგრამ მიმართვის ბოლოს ძახილის ნიშანს არავინ ხმარობს, მის ნაცვლად გამოიყენება სასვენი ნიშანი მძიმე (რაც, რა თქმა უნდა, გრამატიკული კაზუსია). ეს იმიტომ, რომ ძახილის ნიშანი, ერთგვარად ბრძანების ფორმას ძენს ამ მიმართვას, მძიმე კი არბილებს მას და მასში პატივისცემა უფრო იკითხება.

ესეც არ იყოს, „ს“-ს შემოტანით (ანუ ირიბი ობიექტის „გამოჩენით“) ჩვენ უფრო სამპირიანობის განცდას ვეუფლებით, ანუ შემოგვაქვს ჰიპოსტოსი წმინდა სამების სახით.

დიახ, თამამად ვთქვათ „აღსდგა“, რადგან ამ ზმნაში მოკრძალებაც, რიდიც და მოწიწებაც უფრო ნათლად ჩანს უფლისადმი.

ასე, რომ ქრისტე აღსდგა, მეგობრებო!

გოგი გოგოლაძე

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება № 26

2025 წლის 03 აპრილიხაშური

ხაშურის მუნიციპალიტეტის დაბა სურამში, გვერდისუბნის დასახლებაში მდებარე ამაღლების ქუჩის ერთი მონაკვეთისათვის ამაღლების ქუჩის I შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოში, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სამისამართო სამსახურის მომართვის საფუძველზე დარეგისტრირებულია მუნიციპალიტეტის მერის ინიციატივა, ხაშურის მუნიციპალიტეტის დაბა სურამში, გვერდისუბნის დასახლებაში მდებარე ამაღლების ქუჩის ერთი მონაკვეთისათვის ამაღლების ქუჩის I შესახვევის სახელის მინიჭების თაობაზე.

,, მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 01 ივნისის 239 დადგენილების შესაბამისად, მოსახლეობასთან კონსულტაციის მიზნით, საკითხთან დაკავშირებული დოკუმენტები, დადგენილი ვადით გამოქვეყნებული იყო საჯაროდ მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე და რაიმე სახის შენიშვნები და მოსაზრებები არ შემოსულა და ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, უსახელო გეოგრაფიული ობიექტის სახელდება. ზემოხსენებული გეოგრაფიული ობიექტის სახელდების საკითხი შეთანხმებულია გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა დადგენის, ნორმალიზების, გამოყენების, რეგისტრაციის აღრიცხვისა და დაცვის მიზნით, გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა სფეროში მოქმედ სამთავრობო კომისიასთან.

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „პ“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ა.ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების შესაბამისად, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

ხაშურის მუნიციპალიტეტის დაბა სურამში, გვერდისუბნის დასახლებაში მდებარე ამაღლების ქუჩის ერთ მონაკვეთს (მდებარეს: დაბა სურამში, გვერდისუბნის დასახლებაში, იწყება X – 380832, Y-4652244 კოორდინატზე და მთავრდება X – 380908,Y – 4652125, ამაღლების ქუჩის 1-ლი შესახვევის სიგრძე შეადგენს 150 მეტრს, მას ჩრდილოეთიდან ესაზღვრება ამაღლების ქუჩა, სამხრეთიდან, დასავლეთიდან და აღმოსავლეთიდან მოსახლეობა) ეწოდოს ამაღლების ქუჩის I შესახვევი.

განკარგულება აღსასრულებლად გაეგზავნოს ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიას;

განკარგულება ეცნობოს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, ცენტრალურ საარჩევნო კომისიას და საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს.

განკარგულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

განკარგულება გამოქვეყნდეს „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში“ და ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვებგვერდზე www.khashuri.org.ge -ზე.

განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით ხაშურის რაიონულ სასამართლოში (მის: ხაშური, კოსტავას ქ. №15).

ნინო ლიპარტელიანი, საკრებულოს თავმჯდომარე

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება № 27

2025 წლის 03 აპრილი ხაშური

ხაშურის მუნიციპალიტეტის დაბა სურამში, ბუღაურას დასახლებაში მდებარე უსახელო ქუჩისა და მისი განშტოებებისათვის ,,ბერი გაბრიელ სალოსი“-ს სახელის მინიჭების შესახებ

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოში, ხაშურის მუნიციპალიტეტის დაბა სურამში , ბუღაურას დასახლებაში მცხოვრები მოქალაქეების ერთობლივი განცხადების საფუძველზე, დარეგისტრირებულია ინიციატივა, დაბა სურამში, ბუღაურას დასახლებაში მდებარე უსახელო ქუჩისა და მისი განშტოებებისათვის, ,,ბერი გაბრიელ სალოსი“-ს ქუჩის სახელის მინიჭების თაობაზე.

,, მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 01 ივნისის 239 დადგენილების შესაბამისად, მოსახლეობასთან კონსულტაციის მიზნით, საკითხთან დაკავშირებული დოკუმენტები, დადგენილი ვადით გამოქვეყნებული იყო საჯაროდ მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე და რაიმე სახის შენიშვნები და მოსაზრებები არ შემოსულა. ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, სახელწოდების არმქონე გეოგრაფიული ობიექტის სახელდება. ზემოხსენებული გეოგრაფიული ობიექტის სახელდების საკითხი შეთანხმებულია გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა დადგენის, ნორმალიზების, გამოყენების, რეგისტრაციის აღრიცხვისა და დაცვის მიზნით, გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა სფეროში მოქმედ სამთავრობო კომისიასთან.

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „პ“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ა.ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების შესაბამისად, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

ხაშურის მუნიციპალიტეტის დაბა სურამში, ბუღაურას დასახლებაში მდებარე უსახელო ქუჩას (იწყება X – 379581, Y-4654329; კოორდინატზე და მთავრდება X – 380308,Y – 4654436, ქუჩის სიგრძე შეადგენს 750 მეტრს, 1-ლი ჩიხის 180 მეტრს, მე-2 ჩიხის 130 მეტრს, ხოლო მე-3 ჩიხის სიგრძე 90 მეტრია, ოთხივე მხრიდან ესაზღვრება მოსახლეობა. I |ჩიხს სამხრეთიდან ესაზღვრება ყოფილი დიმიტროვის ბავშვთა სახლის ტერიტორია,) ეწოდოს ,,ბერი გაბრიელ სალოსი“ -ს ქუჩა, ხოლო ჩიხებს:

I ჩიხს (იწყება III-X 379689; Y 4654349 კოორდინატზე და მთავრდება IV-X 379767; Y 4654223; V- X 379793; Y 4654240;) ეწოდოს ,,ბერი გაბრიელ სალოსი“-ს I ჩიხი.

II ჩიხს (იწყება VI-X 379734; Y 4654355 კოორდინატზე და მთავრდება VII-X 379734; Y 4654355;) ეწოდოს ,,ბერი გაბრიელ სალოსი“-ს II ჩიხი.

III ჩიხს (იწყება VIII-X379774; Y4654364; კოორდინატზე და მთავრდება IX-X 379816; Y4654280;) ეწოდოს ,,ბერი გაბრიელ სალოსი“-ს III ჩიხი .

განკარგულება აღსასრულებლად გაეგზავნოს ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიას;

განკარგულება ეცნობოს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, ცენტრალურ საარჩევნო კომისიას და საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს.

განკარგულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

განკარგულება გამოქვეყნდეს „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში“ და ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვებგვერდზე www.khashuri.org.ge -ზე.

განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით ხაშურის რაიონულ სასამართლოში (მის: ხაშური, კოსტავას ქ. №15).

ნინო ლიპარტელიანი , საკრებულოს თავმჯდომარე

ტოპონიმებში გაცოცხლებული ისტორიები

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ხმ“ 2023წ.#42, #43 2024წ.#2,#3, #4,5,6,7,8,9,10,11,12,15,15,17,18. #36,37,38,39,40,41,42,46,47. „ხმ“ 2025წ, #1,2,3,4,5,6,7,8,9,10,11,12,13).

ნასოფლარი(1) – ადგ; ნასოფლარი დასავლეთით. ,,სოფელ რვა მარტის (სარმანიშვილის კარი - თ.ლ.) თავზეა. დიდი გზით უკავშირდება საწყლე ფერდს.“ ,,აქ ნაეკლესიარია“.

ნასოფლარი(2) - ადგ; ნასოფლარი სამხრეთ-აღმოსავლეთით. ,,ეტყობა ნასახლარები. სოფლიდან 800 მეტრით არის დაშორებული“.

ნაყანები(1) - ადგ., სახნავი ჩრდილოეთით ,,კალოების ფერდში”.

ნაყანები(2) - ადგ; სახნავი სამხრეთით. ,,სოფლის თავსე ითესებოდა და ყანები იყო”.

ნაყანები(3) - ადგ; ტყე დასავლეთით. ,,სახნავი, სათესი იყო“(ფრ. ტაბატაძე).

ნაძვის წყარო - ადგ; წყარო დასავლეთით. ,,ნაძვის ძირში გამოდის“.

ნახვეტრები - ადგ., მინდორი ჩრდილოეთის მხარეს. `სილა მიწა მოჰქონდა ქარს, გადახვეტავდა-ხოლმე. მდებარეობს მდ. მტკვრის ნაპირას, სადაც ახლა გაზის მილი გადს”.

პანტნარი - ადგ., მთა სამხრეთის მხარეს.

პატარა ანაგარა - ადგილი ნასოფლარი სამხრეთ-აღმოსავლთის მხარეს.

პეტოს ახო - ადგ; ტყე დასავლეთით. ,,ადრე სახნავი იყო, ახლა ფიჭვნარია“.

პირველი დამჩხეულა - ადგ; უბანი

საამილახვროს მოსახვევი - ადგ., გზა, ტყე.

საკენჭაო - ადგ; მინდორი დასავლეთით. ,,პატარა მინდორია, ბავშვები ვთამაშობით აქ კენჭაობას“.

სამჭედური - ადგილი. ,,აქ სამჭედლო ყოფილა. ჯერ სიმონა ყოფილა მჭედელი, მერე ვანო. ტაბატაძეები იყვნენ“.

სანახშირე ღელე - ადგ; ღელე დასავლეთით. ,,სანახევროდ დაწვავდნენ ხეს, ჩამოიტანდნენ შემდეგ და სამჭედლოში ხმარობდნენ“.

სასუმბათო - ადგ.,სახნავი სამხრეთ-აღმოსავლეთის მხარეს.

სატივე ჭალა - ადგილი ჩრდილოეთის მხარეს. მდებარეობს რბონის ხიდის ზემოთ, ძველად აქ ჩამოჰქონდათ ხეები და ტივებს კრავდნენ. საყდრის ფერდი - ადგილი წმ. გიორგის ეკლესიასთან.

საწყლე ფერდი//საწყლე მინდორი - ადგ; მნდორი, ტყე დასავლეთით. ,,დამჩხეულა მეორის თავზე არის დიდი ვაკე, სადაც წყარო გამოდის’’. ,,წყალი გამოდის აქ, სხვაგან ამ მხარეში ასეთი არარის“.

სახელმწიფო მთა//ტყე - ადგ., ტყე სამხრეთ-აღმოსავლეთით, ღორინამკლის აღმოსავლეთით. ,,სახელმწიფო კუთვნილების გამო შეარქვეს”.

სახერგები - ადგ; მინდორი, ანაგარას მთის დასავლეთით. ,,შეშას ეზიდებოდნენ და დახერგავდნენ ხოლმე”. ,,გზასაყარია ამ ადგილზე. ოთხი მიმართულების გზა მიდი: საწყლე მინდვრის გზა, ღორინამკლის გზა, ნასოფლარის გზა და ანაგარის გზა“).

სერგოს ახო - ადგილი ანაგარაზე. ,,სერგო კურტანიძეს ეკუთვნოდა“.

სვანი - ადგ., სვანი.

სოსიკას მუხა - ადგილი, მდინარე სოფლის შესასვლელში. ,,სოსიკა ტაბატაძეს ეკუთვნოდა”.

სოფრომას მორევი - ადგილი ჩრდილოეთის მხარეს. “სოფრომა ტაბატაძის ვენახის ბოლოს მტკვარზე”.

ტაბატაძეები - ადგ; უბანი, იგივე ტაბატაძეების უბანი დამჩხეულა პირველში. ტაბატაძეების უბანი - ადგ; უბანი ჩრდილოეთით.

ტატიშვილის წყარო - ადგ; წყარო სამხრეთით. ,,ტატიშვილი იყო, იმალებოდა ტყეში. ბოლშევიკებმა მოკლეს. მდინარეზე წყალს სვამდა და ამ დროს მოუკლავთ“.

ტბეთის წმინდა გიორგის ეკლესია - ადგილი სოფელში, სადაც ეკლესია მდგარა. ,,ნანგრევების სახით დამხვდა, რომ მომიყვანეს”.

უკანა ღელე - ხევი დამჩხეულა მეორესთან.

ფეფუცას წყარო - ადგ; წყარო სამხრეთით.

ფურღნალი//ფურღნარი - ადგ; ტყე დასავლეთით, სახერგების დაბლა. ,,აქ იზრდება ტყელფოთოლა ბალახი და იმიტომ ეძახიან”. ,,ფურღნალი ბალახს ჰქვია“.

ფურღნალის ღელე - ადგ; ღელე. ,,ფურღნალში მოდის“.

ქვედა კურტანიძეები - ადგ; უბანი სამხრეთ-აღმოსავლეთით.

ქიტიას სვანი - ადგ; სვანი დასავლეთით. ,,ქიტია ტაბატაძე იყო“.

ღარდი მიწა - ადგ., სახნავი სოფელში. ,,ორივე მხარეს სერებია, დაბლა ეძახიან ღარდი მიწებს. შიგ სოფელშია. ძველი ვენახია გაშენებული”.

ღორინამკალი - ადგ., მთის წვერი, მინდორი სამხრეთის მხარეს. ,,თურმე ღორებს ემკათ ბალახი და ამიტომ შეარქვეს”.

ღორინამკლის ღელე - ღელე სამხრეთის მხარეს. მოედინება ღორინამკლიდნ, ერთვის მტკვრის რბონასთან.

ყანისთავი - ადგ., სახნავი სამხრეთის მხარეს. ,,ახლა საძოვარია, ყანები იყო და მის ზემოთ ყანისთავს ეძახდნენ”.

ყორღნის სერი - ადგ; სერი დასავლეთით. ,,საზღვარია სარმანიშვილის კარისა და სათივის“.

შინდი მიწა - ადგ., სახნავი დასავლეთის მხარეს.

შქერი - ადგ., მინდორი.

ცივი - ადგ; ტყე დასავლეთით. ,,მზე არ უდგება, ზაფხულობით ერთი საათით რომ იყოს მზე“.

ცონცხობა - ადგ., სახნავი სამხრეთ-დასავლეთის მხარეს. ,,ტყის ცოცხი იყო ბევრი და შეერქვა ამიტომ”. ,,ახლა ტყე არის, ცოცხებმა გადაიარეს”.

წაბლის სვანი - ადგ., სვანი სამხრეთის მხარეს.

წინწკილა - ადგ., წყარო დასავლეთით სახერგებიდან სამხრეთით. ,,წყარო მოდის წინწკილით”. ,,მოწინწკილებს ცოტათი“.

წიფლის წყარო - ადგ., წყარო დასავლეთით. ,,გამოდის დიდი წიფლის ძირში, მდებარეობს ლომიძეების ღელეში”. ,,დიდი წიფელაა და მის ძირში გამოდის წყარო“.

წყაროსთავის ღელე - ადგ., ღელე.

ჭალის ნაკვეთი - ადგ., სათესი. გოგალაძეებს შორის, 1947 წლის 13 დეკემბრის გაყრის განაჩენით არჩილ პავლეს ძე გოგალაძეს ერგო ,,... ჭალის ნაკვეთიდან 0,10 ჰა დასავლეთ მხარეს მდებარე და ჭალის ნაკვეთის დანარჩენი მიწის ნახევარი დასავლეთის მხარეს მდებარე ნაკვეთი”, ხოლო გრიშა არჩილის ძე გოგალაძეს ,,...ჭალის ნაკვეთიდან აღმოსავლეთ მხარეს მდებარე” ნაკვეთი.

ჭალის ფერდი - ადგ., ვენახი. გოგალაძეებს შორის, 1944 წლის 25 ივნისის გაყრის განაჩენით, ერგოთ იასონ გოგალაძეს და მის შვილებს-ილიკო და ვალოდია გოგალაძეებს .

ჭინჭილა წყარო - ადგ., წყარო სამხრეთის მხარეს. ,,კაცს ეძახდნენ ჭინჭილას. მან გააკეთა წყარო და შეერქვა წყალს მისი სახელი”

ჭენჭყობი - ადგ., მდინარე დამჩხეულიდან ქვედა კურტანიძეებში მიმავალ გზაზე. ,,მუდმივად წყალი გამოდის და სოველია”.

ჭუნჭყის გზა - გზა აღმოსავლეთის მხარეს. ,,გზებზე გამოდის წყალი”. ხევა - პატარა მდინარე, ჩამოედინება ღორინამკლის ფერდიდან, აღმოსავლეთ მხარეს ჩამოუდის დამჩხეულას. რბონასა და დამჩხეულას გამყოფი. ხრიალა - ადგილი სამხრეთით. ,,ქვა არის ჩამოშვავებული. რომ გადმოიხედები, სულ პირმოდგმული ქვაა. თითქოს ქვაფენილია“.

ჯონჯლარი - ადგილი სამხრეთის მხარეს. ,,ახლა ტყე არის”.

სოფელი თ ა გ ვ ე თ ი

ალექსანდრეს აღმართი - ადგილი.

ამბული - ადგ., გზა სამხრეთ-დასავლეთის მხარეს. ,,დიდ მთაში მიდის. იქიდან, რომ ხეები მოჰქონდათ, თავქვეში მოიტანდნენ, გადააბამდნენ, შეუბამდნენ ხარებს და მოჰქონდათ”.

ამირეჯიბის ახო - ადგ., ახო.

არჯევანიძის ახო - ადგ., ახო.

ბერუების ქოხი - ადგ., ტყე, მინდორი სამხრეთის მხარეს, ქარტის ძირში.

ბლიაძეების უბანი - უბანი, სოფლის ჩრდილოეთ ნაწილში.

ბლიაძეების ფერდი - ადგილი.

ბრაგუნა - ადგ., მთა, ტყე, საძოვარი სამხრეთის მხარეს.

ბრაგუნის ძირი - ადგ., ტყე, მინდორი სამხრეთის მხარეს. ,,ბრაგუნის დაბლა არის”.

განი გზა - ადგ., გზა სამხრეთ-აღმოსავლეთის მხარეს კონცხის ძირში.

გამოკოდილი კლდე - ადგილი სამხრეთის მხარეს. ,,კლდე არის გამოღებული, იქ ცოვრება შეიძლება”.

გელაშვილების უბანი - ადგ., უბანი სოფლის ჩრდილოეთ ნაწილში.

გრიგალაშვილების უბანი - ადგ., უბანი სოფლის სამხრეთ ნაწილში.

გრიშას სათივე - ადგ., საძოვარი სამხრეთის მხარეს. ,,გრიშა ჩადუნელი იყო”. გრძელი ველები - ადგ., სათესი.

გრძელველისფარდი - ადგ., სათესი.

გუეთი - ადგ., მთა.

დამპალა - ადგ., დაჭაობებული ადგილი.

დიდი ბრაგუნა - ადგ., ტყე, მინდორი სამხრეთის მხარეს. ,,იქ, რომ ახვიდე და ფეხი დაკრა მიწ, ხმას გაძლევს და ბრაგუნას ამიტომ ვეძახით”.

დიდი ქარტა - ადგ., მთა სამხრეთის მხარეს.

ეკლარი - ადგ., საძოვარი აღმოსავლეთის მხარეს. ,,ეკლარია მეტი წილი”.

ვაკის ვენახი - ადგ., ვენახი. გიორგი და სერგო ივანეს ძე ბლიაძეებსა და დედის-პოლუშკას შორის, 1938 წლის 15 დეკემბრის გაყრის განაჩენით, ვენახი ერგო ძმებს .

თამარის წყარო - ადგ., წყარო.

კაკლები//კაკლების ფარდი - ადგ., სათესი სამხრეთის მხარეს. ,,აქ ჩადუნელებს კაკლები ჰქონდათ”.

კაპნარი - ადგილი სამხრეთის მხარეს. ,,კაპნარი ხეა. ეს უფრო იზრდება აქ, ცაცხვს უძახიან”.

კაპნარის ღელე - ადგ., ღელე.

კაპნარის წყარო - ადგ., წყარო

კონცხი - ადგ., მთა სამხრეთით სოფლის თავში.

ლამის ღელე - ადგ., ღელე სამხრეთის მხარეს.

მაკარიოზის ახო - ადგ., ახო.

მუხების ფარდი - ადგ., სათესი.

მუხნარი - ადგ., ადგილი სამხრეთის მხარეს სოფლის თავში. ,,მუხნარია, მეტი წილი მუხაა”.

მყრალტბა - ადგ., ტბა.

ნაკალოვარი - ადგ., სათესი.

ნავენახარი - ადგ., საძოვარი აღმოსავლეთის მხარეს. “ვენახი იყო, ამოყარეს, დიდი ხანი არ არის”.

ნალაგირები - ადგ., საძოვარი აღმოსავლეთის მხარეს. ,,ადრე ჯარი მდგარა და ამიტომ შეერქვა”. გრიგალაშვილებს შორის 1939 წლის 2 მაისის გაყრის განაჩენით თედო ზაქარიას ძე გრიგალაშვილს ერგო. ,,...ვენახი მდებარე ეგრეთწოდებულ ნალაგირებში, რომელსაც საზღვრავს აღმოსავლეთით და სამხრეთით გიო გრიგალაშვილის ვენახი, დასავლეთით და ჩრდილოეთით სასოფლო გზა” .

ლადო თედოს ძე გრიგალაშვილს ერგო ,,...ვენახი მდებარე ნალაგირებში, რომელსაც საზღვრავ აღმოსავლეთით და სამხრეთით კოლმეურნეობის ფარდი, დასავლეთით ჩრდილოეთით გიო გრიგალაშვილის ვენახი”.

ნარუჯები - ადგ., სათიბი დასავლეთის მხარეს. ,,ადრე სახნავი იყო, დამწვარიყო ეს ადგილი და ამიტომ დაერქვა”.

ნასახლარები - ადგილი.

ნაფუძვრები - ადგ., სახნავი აღმოსავლეთის მხარეს. ,,ნაკელს აყრიდნენ, ხნავდნენ ძრაულათა. ძრაულათ მოხვნა ღრმად მოხვნას ნიშნავს. აღშვა მსუბუქად მოხვნას ნიშნავს”.

თამაზ ლაცაბიძე

(გაგრძელება იქნება)

მოსახლეობას სამოქალაქო (მონაწილეობითი) ბიუჯეტირების პროცედურები გააცნეს

ხაშურის მუნიციპალიტეტში სამოქალაქო (მონაწილეობითი) ბიუჯეტირების პროექტი, მიმდინარე წელს, ცხრამუხის ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალ სოფლებში: დამჩხეულასა და რბონაში, ოსიაურის ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალ სოფლებში ღუდასა და ნარუჯევში და წრომის ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალ სოფელ ყელეთში განხორციელდება.

ადგილობრივ ბიუჯეტში პროექტისთვის 400 000 ლარია გამოყოფილი, საიდანაც სოფელ რბონისთვის, დამჩხეულასა და ყელეთისთვის თითოეულზე 100 000 ლარი დაიხარჯება, ხოლო ღუდასა და ნარუჯევისთვის გამოყოფილი თანხა თითოეული სოფლისთვის 50 000 ლარი იქნება.

მონაწილეობითი ბიუჯეტის საბჭოს წევრები - საკრებულოს თავმჯდომარე ნინო ლიპარტელიანი, მუნიციპალიტეტის მერიის საბიუჯეტო სამსახურის ხელმძღვანელი ლელა მაჭარაშვილი, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები, საკრებულოს წევრები და მუნიციპალიტეტის მერიის სხვა წარმომადგენლები, ოსიაურისა და ცხრამუხის მოსახლეობას შეხვდნენ, სამოქალაქო (მონაწილეობითი) ბიუჯეტირების პროცედურები დეტალურად გააცნეს და შეკითხვებს უპასუხეს.

საპროექტო იდეის წარმოდგენა ხაშურის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ ნებისმიერ მოქალაქეს შეუძლია 14 წლის ასაკიდან, გარდა მუნიციპალიტეტის მერიის, საკრებულოს თანამშრომლებისა და საკრებულოს წევრებისა.

საპროექტო იდეები, რომლებიც წინასწარ განსაზღვრულ კრიტერიუმებს დააკმაყოფილებს, გადავა კენჭისყრის ეტაპზე, სადაც გამარჯვებული პროექტი ფარული ხმის მიცემით გამოვლინდება.

კენჭისყრის ეტაპები გაიმართება 3 მაისიდან 6 მაისამდე, ტრადიციული საარჩევნო მეთოდით, ცხრამუხის ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალ სოფელ დამჩხეულაში, სოფელ რბონაში, ხაშურის მუნიციპალიტეტის ოსიაურის ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალ სოფელ ღუდაში, ნარუჯებში ,ხაშურის მუნიციპალიტეტის წრომის ადმინისტრაციულ ერთეულის სოფელ ყელეთში.

მონაწილეობითი ბიუჯეტირება არის ნებაყოფლობითი, უნივერსალური და უშუალო (პირდაპირი) დემოკრატიის პროცესი, რომლის საშუალებითაც ხალხი აწარმოებს დიალოგს და იღებს გადაწყვეტილებას ბიუჯეტისა და სახელმწიფო პოლიტიკის შესახებ. მოქალაქეები არ შემოიფარგლებიან მხოლოდ აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების წევრთა არჩევნებით, არამედ უშუალო მონაწილეობას იღებენ საბიუჯეტო პრიორიტეტების დადგენაში.

საპროექტო განაცხადის წარდგენა შესაძლებელია ხაშურის მუნიციპალიტეტის მიერ წინასწარ განსაზღვრულ ვადაში 19 აპრილიდან 29 აპრილამდე, დადგენილი ფორმატით.

საპროექტო იდეის წარსადგენად საჭიროა მარტივი სააპლიკაციო ფორმის შევსება. სააპლიკაციო ფორმა ხელმისაწვდომია მუნიციპალიტეტის მოქალაქეთა მომსახურების ბიუროში (ხაშური, ტაბიძის ქ.N2) ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ვებ გვერდზე: https://khashuri.gov.ge/ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვებ გვერდზე: www.khashuri.org.ge

მონაწილეობითი ბიუჯეტირების მხარდასაჭერად მოქმედებს ელექტრონული პლატფორმა - Civic Budgeting -Khashuri - სამოქალაქო ბიუჯეტირება ხაშურის მუნიციპალიტეტში.

პროექტები, რომელიც ყველა კრიტერიუმს დააკმაყოფილებს, გადავა კენჭისყრის ეტაპზე. გაიმარჯვებს ის პროექტი, რომელიც მოსახლეობის ყველაზე მეტ მხარდაჭერას მოიპოვებს. გამარჯვებული პროექტი 2025 წლის ბიუჯეტიდან დაფინანსდება.

კენჭისყრაში მონაწილეობა შეუძლიათ მხოლოდ, კონკრეტულ სოფელში რეგისტრირებულ მცხოვრებლებს.

გამარჯვებულ პროექტს მონაწილეობითი ბიუჯეტის საბჭო განსახორციელებლად წარუდგენს მუნიციპალიტეტის მერიას. გამარჯვებული პროექტის ავტორი/ავტორთა ჯგუფი მოწვეული იქნება მონაწილეობითი ბიუჯეტის საბჭოს შემადგენლობაში და მონაწილეობას მიიღებს შერჩეული პროექტის განხორციელების მონიტორინგის პროცესში;

მონაწილეობითი ბიუჯეტირების მეთოდოლოგიის შემუშავება განხორციელდა საქართველოს მუნიციპალიტეტების კარგი პრაქტიკის გათვალისწინებით.

- ხ ე ლ ო ვ ნ ე ბ ა -

სერაფიმე მეტრეველი: - ჩემი ნამუშევრები თავად ატარებენ ჩემს იდენტობას

სერაფიმე მეტრეველს, ახლგაზრდა, ძალიან საინტერესო ადამიანს და მხატვარს ხაშურის #1 საჯარო სკოლაში შემთხვევით გადავეყარე. სერაფიმე მაშინ, სკოლაში მისი შემოქმედებით დაინტერესებულ მოსწავლეებს ამავე სკოლის პედაგოგის მაია სამნიაშვილის მოწვევით ხვდებოდა. ძალიან ვჩქარობდი, ვფიქრობდი, რომ შეხვედრას ვერ დავესწრებოდი და ჩემს საქმეებზე გავიქცეოდი... შეხვედრას, არცთუ ხანმოკლეს, ბოლომდე დავესწარი და აქტიურ მონაწილედაც ვიქეცი... საბოლოოდ დღვანდელ ვრცელ ინტერვიუს გთავაზობთ საოცარ შემოქმედთან, მხატვარ სერაფიმე მეტრეველთან. დიდხანს ვიფიქრე ინტერვიუსთვის „ქუდი“ როგორ მომერგო. მხოლოდ ერთს ვიტყვი, ან გთხოვთ, არ დაგეზაროთ, ბოლომდე ჩაიკითხეთ...

- სერაფიმე, დასაწყისისთვის შენი ბიოგრაფიის შტრიხები:

- მე ვარ სერაფიმე მეტრეველი, 22 წლის მხატვარი, რომელიც არასდროს ეძებს შთაგონებას, არამედ ყოველდღიურად ქმნის მას. მხატვრობას რაც შეეხება, თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ყველაფერი დამოუკიდებლად და ჩემით ვისწავლე, დავხვეწე და განვავითარე, ამის გამო, ბევრს ჰგონია რომ სამხატვრო აკადემია მაქვს დამთავრებული, რეალურად კი ფილოსოფიის ფაკულტეტის მეოთხე კურსის სტუდენტი ვარ, ეს სფერო ავირჩიე არა იმიტომ, რომ ბოლოს ფილოსოფოსი გავმხდარიყავი, ეს არასდროს მდომებია, არამედ იმისთვის, რომ უკეთ გამეგო რეალურად, რა იყო ჩემი მოწოდება, პირდაპირ ვიტყვი, ფილოსოფიამ ეს მომცა, თუმცა, როგორი იუმორისტულიც არუნდა იყოს, ამ ცოდნის პრაქტიკაში განხორციელება დავიწყე თუ არა, მთელი რიგი წინააღმდეგობები მოჰყვა ამ ყველაფერს, კერძოდ, ფილოსოფიამ მასწავლა ის რომ, პირველ რიგში, უნდა იპოვო საკუთარი თავი, საკუთარი ადგილი ცხოვრებაში, იპოვო ის საქმე რაც გულით გიყვარს და არაფრის დიდებით არ დათმო ეს, დამეთანხმებით, როდესაც ადამიანი ოცნებას - მიზნად გარდასახავს და ჯიუტად მიიწევს წინ, მას პირველივე წამიდანვე ექმნება პრობლემები. მათთან გამკლავება და გადალახვა, რაღა დავმალო და ცალკე ხელოვნებას წარმოადგენს. ოთხ წელზე მეტია, რაც ყოველდღიურად ვხატავ მხოლოდ შავი ფანქრით - ესაა ჩემი მედიუმი, ჩემი ენა და სივრცე, ვხატავ რეალისტურ, ემოციურად მძაფრ და დაძაბულ სცენებს, რომლებიც ხშირად შეიცავენ ისტორიულ, რელიგიურ და ადამიანის შინაგან თემებს. ჩემთვის რეალიზმი არ არის მხოლოდ დეტალების ზუსტი ასახვა - ეს არის ადამიანის სულიერი სიღრმის შიშვლად და მკაფიოდ ჩვენება. სწავლა და თვითგანვითარება არასდროს შემიწყვეტია, ცხადია, იყო ჩავარდნები, შინაგანი ეჭვები, ყოველდღიური ჭიდილი როგორც საკუთარ თავთან, ისე გარშემომყოფებთან, მაგრამ ჩემი პრინციპი ასეთია : „თუ დაიწყე აღარ შეგეშინდეს, თუ გეშინია, მაშინ ნურც დაიწყებ.“ თავადვე გავიარე რამდენიმე ხატვის ონლაინ კურსი, სხვადასხვა სტილსა და ტექნიკაში, თუმცა საბოლოოდ ჩემი ხელწერა მხოლოდ ჩემზეა აგებული.

- ბავშვობის მთავარი ამბავი, ბავშვობის შთამბეჭდავი მთავარი ამბავი....

-ბავშვობის მთავარი ამბავი ჩემთვის დედასთან და მამასთან ასოცირდება, ადამიანები, რომლებიც ირიბად თუ პირდაპირ მუდამ მხარში მიდგანან, მუდამ სჯერათ ჩემი და არასდროს არ მაკრიტიკებენ ჩემი მიზნებისა და ოცნებების გამო. ჩემი ბავშვობის შთამბეჭდავი ამბავი იწყება მაშინ, როდესაც ოჯახის წევრებთან ერთად ვარ, მათთან ერთად გატარებული ყოველი წამი შთამბეჭდავია.

- სერაფიმე, თქვენი ცხოვრება მხატვრობამდე და შემდეგ... როგორ დაიწყო თქვენი თავგადასავალი მხატვრობაში? როდის ან რატომ შემოვიდა თქვენთან ხელოვნება?

- ჩემი ცხოვრება მხატვრობამდე, ზუსტად ისეთი იყო, როგორც ყველა ადამიანის, არ ვფიქრობ, რომ რაიმე განსაკუთრებული ტალანტითა და ნიჭით დავიბადე, მეც დავდიოდი სკოლაში, ორიანიც მიმიღია და ათიანიც, მეც ვიწერდი დავალებებს და ტელეფონთან დიდ დროს ვატარებდი. მარტივად რომ ვთქვა, ჩემი ცხოვრება ხელოვნებამდე იყო ძალიან ხმაურიანი და ჩუმი ერთდროულად - თითქოს სულ სადღაც მივდიოდი, რაღაცას ვეძებდი, მაგრამ ვერ ვპოულობდი, ვცდილობდი მოვკიდებოდი სხვადასხვა საქმეს, ვმუშაობდი, ვსწავლობდი, ვაკეთებდი იმას, რასაც ჩემ გარშემო ყველა. მქონდა ზუსტად ისეთი მიზნები როგორც ყველას, თუმცა შინაგანად სიმშვიდე არადა არ დგებოდა - ეს მომენტები დღემდე მახსოვს, აკეთებდე იმას რაც შენი არაა, მაგრამ თავს აჯერებდე გამუდმებით - თუ ყველა ამას აკეთებს, მეც ასე უნდა ვქნა. ხელოვნება არ შემოსულა ჩემს ცხოვრებაში - ის ყოველთვის ჩემთან იყო და ელოდებოდა როდის შევამჩნევდი. ცხადია, სულ ვხატავდი, ზუსტად ისე, როგორც ყველა, ჰობად და განტვირთვის საშუალებად აღვიქვამდი, მაშინ ვერ ვაცნობიერებდი, რომ ეს ჰობი კი არა ჩემი მოწოდება იყო. ამის გასაცნობიერებლად მართლა ბევრი გათენებული ღამე გამოვიარე, ხოლო როდესაც საბოლოოდ მივხვდი რომ სწორედ ხელოვნებაა ის, რაც მიყვარს, გამომდის, თავს თავისუფლად და ცოცხლად მაგრძნობინებს და თვითგანვითარების ახალ ჰორიზონტებს მიხსნის. მხატვრობა მხოლოდ ფანქარი და ფურცელია? მაშინ ყველაზე მაგარი და ღრმა წიგნიც ფურცელი და ყდა ყოფილა, მეტი არაფერი, მხატვრობა - აზროვნების ფორმაა, რომელსაც საზღვარი არა აქვს, ისევე როგორც ხელოვნების სხვადასხვა დარგს, თუ ნამდვილი და გულწრფელია. დამატებით რომ ვთქვა, ყველაზე დიდი გავლენა ჩემზე შტეფან ცვაიგის წიგნმა „ბალზაკმა“ იქონია, ესაა არა თუ გამოგონილი და ადამიანური ფანტაზიის ნაყოფი, არამედ რეალური ცხოვრების ოსტატურად აღწერაა შემოქმედისა, რომელმაც ცხოვრებას ყველაფერი გამოჰგლიჯა, გაბატონდა ეპოქაზე და შექმნა არანორმალურად გიჟური და გენიალური რამ, ასე რომ ყველას, ვისაც რაიმე მიზანი აქვს ცხოვრებაში, ამ წიგნის წაკითხვას ვურჩევ.

- რატომ ხატავთ ახლა, თქვენი ცხოვრების ამ მოცემულობაში?

- დღეს ვხატავ, რადგან ვიცი, რომ დრო გადის და თუ დღეში ერთხელ მაინც არ შევქმენი რაღაც ნამდვილი - თითქოს ეს დღე არც ყოფილა, ვხატავ, რადგან ადამიანები, რომლებსაც ჩემი ნახატები ემოციურად ეხებათ, მეუბნებიან : „ასეთი რამ არც მინახავს და არც მეგონა, რომ ფანქარს ეს შეეძლო“. ვხატავ, რადგან მიზანი მაქვს და წარმატებას მუზა, მოტივაცია და განწყობა კი არა, რკინის დისციპლია ქმნის. გინახავთ ადამიანი, რომელიც დილაუთენია დგება, ბევრს ვარჯიშობს, სწავლობს, ვითარდება, კომფორტის ზონიდან მუდამ გადის, ან ათენებს ღამეებს, მუშაობს მაშინ როცა ყველას ძინავს, მუშაობს მაშინ, როცა სხვები სოციალურ ქსელებში საათებს ხარჯავენ, გინახავთ ასეთ ადამიანს წარმატებისთვის ვერ მიეღწიოს, წუწუნი და სხვებზე რაღაცების გადაბრალება მარტივია, თუ ვინმეს უნდა ამ ცხოვრებაში რამეს მიაღწიოს ჩემი რჩევა იქნება: გაჩუმდი და საქმე გააკეთე, არ ადგე მაშინ, როცა დაიღლები, ადექი მაშინ, როცა დაამთავრებ.

- განვმეორდები და თქვენი პედაგოგის, ქალბატონი მაია სამნიაშვილის მიერ გაჟღერებულ შეკითხვას დაგისვამთ, „როგორ გგონიათ ფილოსოფიას რომ არ ზიარებოდით, ასეთი ღრმა იქნებოდა თქვენი ნამუშევრები?“

- დავიწყებ იქიდან, რომ სწორედ ქ. მაია სამნიაშვილმა აანთო ჩემში ის ნაპერწკალი, რასაც ფილოსოფიისადმი ინტერესი და დიდი სიყვარული მოჰყვა, ამას არასდროს

(გაგრძელება V გვერდზე)

- ხ ე ლ ო ვ ნ ე ბ ა -

სერაფიმე მეტრეველი: - ჩემი ნამუშევრები თავად ატარებენ ჩემს იდენტობას

(გაგრძელება)

დავივიწყებ. ფილოსოფია ჩემთვის არ არის თეორია, რომელსაც წიგნებში ვკითხულობ - ის არის ყოველდღიური გამოცდილება, რაც შეკითხვების სახით მოდის ჩემში: ვინ ვარ? რატომ ვხატავ? რას ნიშნავს ეს ყველაფერი? თუ ვინმეს ჰგონია, რომ რაღაც ჩემი მოწოდება ვიპოვე, დამთავრდა უკვე ყველაფერი მარტივადაა... ნურას უკაცრავად, ყველაზე რთული საკუთარი თავის მოწოდების პოვნა კი არაა, ამას ისედაც ყველა ხვდება გულის სიღრმეში, უბრალოდ, უფრო მარტივია ის აკეთო, რასაც უმრავლესობა აკეთებს, რთული ისაა, როცა კითხვები და ეჭვები ჩნდება, ამიტომ ადამიანს უნდა ჰქონდეს რაიმე ხელჩასაჭიდი, რაიმე დასასვენებელი ადგილი, სადაც ძალებს აღიდგენს, შეუძლებელია მუდამ ერთ ფაზაში ყოფნა, ჩემთვის ეს ადგლი ფილოსოფიაა, ესაა ის საფუძველი, საიდანაც ჩემი ნახატები იბადებიან, ხატვა ჩემთვის არ არის მხოლოდ ფორმის გადმოცემა - ეს არის აზრის ძერწვა ფანქრით, იქ სადაც სიტყვები უძლურია, სწორედ ფილოსოფიამ მასწავლა, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი ისაა რაც არ ან ვერ გამოითქმის, სწორედ ეს უხილავი შრე მინდა, რომ იგრძნოს მაყურებელმა ჩემს ნამუშევრებში, არა თუ აღწეროს, არამედ მიხვდეს და გაიგოს რასაც უყურებს, მაგრამ სიტყვებად გადმოცემა გაუჭირდეს.

- ფილოსოფია პროფესიად გაიხადეთ?

-ფილოსოფია ჩემთვის ცხოვრების სტილია და არა პროფესია, ეს უკანასკნელი მუდამ მავსებს იდეებით, ფილოსოფია რატომღაც ყველას უყვარდება, როცა სოციალურ ქსელში რომელიმე ბრძნულ გამონათქვამს გადააწყდებიან და იმას სწავლობენ, რაც, უმეტეს შემთხვევაში, კონტექსტიდან ამოგლეჯილი და დამახინჯებული სახითაა. ფილოსოფიის გარეშე ჩემი ნამუშევრები იქნებოდა ტექნიკურად გამართული, მაგრამ ცარიელი. სული მათში სწორედ კითხვებმა ჩასახეს - არსებობაზე, სიყვარულზე, მძაფრ, უკონტროლო ემოციებზე, სიმარტოვეზე, ღალატსა და ტყუილზე, ასე რომ დიახ - ფილოსოფიამ დიდი როლი ითამაშა ჩემი ხედვის ჩამოყალიბებაზე, ან რა გგონიათ მიქელანჯელოს, ლეონარდოს, რაფაელსა და რემბრანდტს არ უყვარდათ ფილოსოფია, ლიტერატურა ან რელიგიური ტექსტები? უბრალოდ ისხდნენ და ხატავდნენ? ისინი იკვლევდნენ, ეძებდნენ, გამოსახავდნენ, ასე რომ ხელოვნების გაგებას განათლება უნდა, ორი ხაზის გასმა და საკუთარი თავის მხატვრად მოხსენიება არც ისე კარგი საქციელია. სიტყვა მხატვრობის უკან ბევრად მეტი რამაა ვიდრე „ჩემი ჰობია“, „რეალობას გავურბივარ“ და „მამშვიდებს“. დღეს განსაკუთრებით, ინფორმაციული ნაკადის არაადამიანური ტემპია აღებული, დილით რომ რაიმეს წაიკითხავ, საღამოს უკვე მოძველებულია, ეს ინფორმაციული ნაკადი ძალიან ფიტავს ადამიანს, ამიტომ აუცილებელია გონებრივი სიმტკიცე და მდგრადობა, რომელიც არც თუ ისე მარტივი მისაღწევია, მაგრამ ამად ნამდვილად ღირს.

- როგორ გადმოსცემთ თქვენს მიზნებს მხატვრობაში, რას ამბობთ თქვენი ნახატებით?

- ჩემი მიზანი მხატვრობაში არ არის ლამაზი ფიგურების შექმნა — ჩემი მიზანია სიმართლის ასახვა ფურცელზე და შემდეგ მაყურებლის მეხსიერებაში. ვხატავ ისე, თითქოს რაღაც უნდა ვუთხრა იმ ადამიანს, ვინც საერთოდ არ მიცნობს, მაგრამ თავის შიგნით იმავე სიჩუმეს, იმავე კითხვის ნიშნებს ატარებს, რასაც მე. ჩემი მიზანია, დავიჭირო ის წყვეტილი წამი, როცა ადამიანი რაღაც ღრმა განცდას შეეხო და ვერაფერი თქვა — მე ამას ფანქრით ვამბობ მის მაგივრად. ხშირად უთქვამთ ჩემთვის რატომ ხატავ სულ ასე ბნელ, დაძაბულ და ტრაგიკულ სიუჟეტებს? ჩემი სფერო ცისარტყელები, ყვავილები და პეპლები ნამდვილად არ გახლავთ, მე ვხატავ ტკივილს, მაგრამ არა ტრაგედიისთვის — არამედ იმისთვის, რომ ტკივილში დავინახოთ ძალა, ვიყენებ მძაფრ კონტრასტს შავი ფერით, რათა უკეთ გამოიკვეთოს სინათლე, რომელსაც სიტყვები ვერ აღწერს. თემად ყოველთვის მძაფრ და მკვეთრ ემოციებს ვირჩევ, კერძოდ, გაურკვევლობა, სიბრაზე, მრისხანება, ღალატი, ტყუილი, ვნება, ამბოხი, მიუღებლობა და ა.შ. ემოციები, რომლებიც კონტროლს არ ექვემდებარება და ინსტიქტურად მოქმედებენ ჩვენზე, რაც მთავარია, ჩემი ნახატებით ვამბობ: ყველაფერი რასაც გამოვსახავ, თითოეულ ჩვენგანშია, ჩემი ნამუშევრები არაა ესთეტიკისთვისა და ტკბობისთვის, ჩემი ნახატები სავსეა დინამიკით, მოქმედებითა და ზღვარგადასული დრაივით, რათა მაყურებელს ბიძგი მისცეს სიცოცხლისა და ფიქრისთვის, როცა ადამიანი გაჩერდება ,ნახატს შეხედავს და საკუთარ თავს ამოიცნობს, ესეიგი ჩემი მიზანი შესრულდა. ჩემი ნახატები ვერავის ასწავლის როგორ იცხოვროს — მაგრამ იმედს ვიტოვებ განაცდევინებს რაიმე ისეთს, რაც მანამდე არ უგრძვნია.



- „მე არ მჯერა ისეთი სიყვარულის, რომელიც სტაგნაციას გ ა ნ გ ა ც დ ე ვ ი ნ ებ ს“, - ამბობთ თქვენ, განიცადეთ სიყვარული პროგრესის მომტანი?

- დიახ, ზუსტად ასე ვფიქრობ - მე არ მჯერა ისეთი სიყვარულის, რომელიც გაჩერებს, აბუნდოვნებს ხედვას და გტოვებს იქ, სადაც იყავი. ჩემთვის ნამდვილი სიყვარული არის ცეცხლი, რომელიც გიხსნის ახალ შესაძლებლობებს, ახალ ძალას, ახალ მიზანს. სიყვარულში ვგულისხმობ როგორც საქმისამი დამოკიდებულებას, ისე ურთიერთობებს. ვფიქრობ, რომ გავიგოთ ვინ ვართ, რა შეგვიძლია და ვინ გვინდა ვიყოთ, ამისთვი სიყვარულის განცდა აუცილებელია, რადგან მას მოაქვს აღფრთოვანება და სირთულეები ერთდროულად, აღფრთოვანებას განცდა სჭირდება, სირთულეებს კი გადალახვა. როგორ უცნაურადაც არ უნდა ჟღერდეს, სიყვარული საშიში განცდაა, მან შეიძლება ისე მოგნუსხოს, რომ გარშემო ყველა და ყველაფერი დაივიწყო, მაგრამ თუ ის ნამდვილია - აუცილებლად აგაღებინებს ხელს სიზარმაცეზე, მორიდებულობასა და ეჭვებზე. როცა ხელოვანი შეყვარებულია და ,ვფიქრობ, ეს მისი ბუნებრივი მდგომარეობაა, იგი ქმნის უკეთ —არა იმიტომ, რომ ბედნიერი იყოს, არამედ იმიტომ, რომ მას გრძნობების სიმძაფრე სჭირდება საკუთრივ ხელოვნებისთვის.

- ეს ფრაზაც თქვენ წარმოთქვით: „ხელოვანი ადამიანი თუ მიხვდება, რომ არის ხელოვანი, იქვე დაამთავრებს თავის ხელოვნებას“....

- ეს ფრაზა ჩემთვის ერთგვარი გაფრთხილებაა — პირველ რიგში, ჩემთვისვე. როდესაც ხელოვანი მიხვდება, რომ ის ქმნის ერთგვარი როლით და არა - გულწრფელობით, ამ „მიხვედრის“ მომენტიდან მან შესაძლოა დაიწყოს წარსულის იმიტაცია — საკუთარი თავის რეპროდუქცია. და ეს არის საშიში სტაგნაცია, რომელსაც თან სდევს თვითკმაყოფილება და ზუსტად ის — რაც დამანგრეველია ნებისმიერი ხელოვანისთვის - დაიწყოს ყალბი ნამუშევრების შექმნა, მოირგოს როლები და თავი წარმოიდგინოს იმად, რაც რეალურად არ არის. ჩემთვის ხელოვნება არის გზა და არა იარლიყი. ყოველ ჯერზე, როცა ფანქარს ვიღებ ხელში, ვიწყებ თავიდან — ისე, თითქოს არაფერი ვიცი. რაც უფრო მეტად ვითარდება ჩემი ტექნიკა, მით უფრო ვიაზრებ, რომ წინ კიდევ მეტია აღმოსაჩენი და სასწავლი. თუ ერთ დღეს ვთქვი: „მე ვარ ხელოვანი“ — ეს ნიშნავს, რომ სხვა აღარაფერი დამრჩა სათქმელი. მაგრამ მე არ მინდა ვიყო ადამიანი, რომელიც უბრალოდ აკეთებს იმას, რაც იცის. მინდა ვიყო ის, ვინც ყოველდღე ებრძვის საკუთარ თავს იმისთვის, რომ მიაღწიოს იმას, რაც გადაუწყვეტელი და რთულად გამოსახატია, ნამდვილი ხელოვნება არასდროს არის “მომხდარი” — ის ყოველთვის პროცესშია. და ამ პროცესში, როდესაც საკუთარ თავს გააოცებ, მაშინ ხარ ყველაზე ცოცხალი. ამიტომ ვამბობ: როცა დარწმუნდები, რომ უკვე ხარ ის, რაზეც ოცნებობდი ყოფილიყავი — შენი ხელოვნება მანდვე მთავრდება. ხელოვანი ადამიანი არ უნდა იყოს საკუთარი თავით კმაყოფილი, ის მუდამ აქტიური და მაძიებელი უნდა იყოს, მას დრო არ უნდა რჩებოდეს საკუთარი თავის აღფრთოვანებისთის, ეს მისი საქმე არაა, მისი საქმე - ქმნაა და არა თვითკმაყოფილებაში ჩაძირვა ან იარლიყების მიწებება.

-„ლექსი თავად“ გწერთ?..

- დიახ, ზუსტად ასეა, როდესაც ნამუშევარი მართლა ცოცხალია, იქ ჩემგან ცოტაღაა დარჩენილი. თითქოს ერთდროულად ვკარგავ კონტროლს და ვიღებ უფრო დიდ ძალას. ხატვის პროცესში, რაღაც მომენტში, დრო ქრება, სხეული ივიწყებს დაღლას, ტვინი სიჩუმეში გადადის — და ფანქარი, უბრალოდ, მიდის, არა გონებით, არამედ შიგნიდან წამოსული ბრძანებით. ხანდახან დავხედავ დასრულებულ ნახატს და ვერ ვხვდები, ეს მე როგორ გავაკეთე? თითქოს ვიღაც სხვა ხატავდა ჩემს მაგივრად. ეს მომენტი ყველაზე წმინდა და ხელშეუხებელია, რომლის მიღწევასაც დიდი შრომა და საქმეში ჩაძირვა მაქსიმალურად სჭირდება, იმიტომ, რომ ხელოვნება მაშინ აღარ გეკუთვნის — ის გადის შენგან, ცხოვრებას იწყებს დამოუკიდებლად, და შეიძლება ერთხელაც შემოგხვდეს ქუჩაში — სხვის სახლში, სხვის ემოციაში, სხვის ცნობიერებაში. ამიტომ, კი — როგორც ტიციანი წერდა: „ლექსს მე არ ვწერ — ლექსი თავად მწერს“ ასევეა ჩემთან — ნახატი მე არ მემორჩილება, მე ვარ მხოლოდ ხიდი, რომ ის გამოიხატოს და დაიბადოს. არ მინდა ვინმემ იფიქროს და „ნიჭიერების“ იარლიყები მომაკრას ამ სიტყვების შემდეგ, ნიჭი აქ არაფერ შუაშია, ამას ყოველთვის ვამბობდი და გავაგრძელებ კიდევ, უცნაურია, მე, მხატვარი, ვამბობ, რომ მხატვრობას არანაირი ნიჭი არუნდა, ვისაც მხატვრობასთან არანაირი შეხება არა აქვს ის მუდამ საპირისპიროს მიმტკიცებს.

- ამბობთ: „უნდა გჯეროდეს, რომ გააკეთებ; შენს თავში დარწმუნებული უნდა იყო“, - ბოლო დროს ცოტა „გაცვეთილი“ ფრაზა ხომ არ არის?

- დიახ, ამ სიტყვებს დღეს ხშირად ამბობენ — მაგრამ, სინამდვილეში, აქ ფრაზა კი არა - ადამიანი ცვდება და სიტყვების აზრსა და ძალას ვეღარ აცნობიერებს. როცა ვამბობ: „უნდა გჯეროდეს, რომ გააკეთებ“, ეს არ არის მოტივაციური პოსტი ინსტაგრამისთვის. ჩემთვის ეს ნიშნავს — უნდა გჯეროდეს მაშინაც, როცა ფიქრობ რომ ამის ძალა არ გაქვს, უნდა გჯეროდეს მაშინაც, როცა ვერავინ გხედავს, ვერავინ გიწონებს, და საერთოდ, არავინ გეუბნება, რომ მაგარი ხარ. ამ ფრაზის გაცვეთა იწყება მაშინ, როცა მას მხოლოდ წარმატებასთან აკავშირებენ. თითქოს „დარწმუნებული უნდა იყო“ ნიშნავს: „აბა რა, მიაღწევ, გამოგივა, გაიმარჯვებ.“ არა — მე ვსაუბრობ იმ რწმენაზე, რომელიც არც შედეგს ეყრდნობა და არც გარესამყაროს. ეს არის რწმენა შენივე თავის წიაღიდან, სადაც გრძნობ, რომ რაც არ უნდა მოხდეს — შენ უნდა შექმნა. იმიტომ კი არა, რომ გელოდებიან, არამედ იმიტომ, რომ თუ არ შექმნი, ზღვარგადასული ემოციები გაგანადგურებს. შეიძლება სხვამ ეს სიტყვები თქვას ზედაპირულად, მაგრამ როდესაც ვიღაც ღამეებს ათენებს ხატვაში (მე ვამბობ „ღამეებს“ და არა ერთი ორი ღამის გადაბმას, მერე რომ მთელი კვირა სჭირდებათ ენერგიის აღსადგენად), როცა გადაღლილი სხეული სტკივა და გონება ეთიშება — ის იმ ფრაზაში სხვას ხედავს. ასე რომ, დიახ — შეიძლება სიტყვები გაცვეთილია, მაგრამ რწმენა? რწმენა არასოდეს გაცვდება. საქმე კარგად წავიდა? - გწამდეს საკუთარი თავის, საქმე ცუდად წავიდა? - გწამდეს საკუთარი თავის, სრულიად მარტო ხარ და არავინ გიდგას გვერდში? - გწამდეს საკუთარი თავის!

- სერაფიმე, თქვენთან შეხვედრისას უამრავი კითხვა გაჩნდა ჩემთვის, როგორც კორესპონდენტისთვის. აღნიშნავთ, რომ თქვენი სფერო რელიგიაა. რა როლს ანიჭებთ გლობალიზაციაში რელიგიას, თქვენი განწყობები?

- მარტივად რომ ვთქვა, რელიგია ჩემთვის მხოლოდ რწმენა არ არის — ეს არის არქიტექტურა, რომელშიც სული ეძებს სახლს. გლობალიზაცია, თავისი ბუნებით, ცდილობს ერთგვაროვნებას - ჩაცმაში, აზროვნებაში, კულტურაში. ეს პროცესი თითქოს ყველა განსხვავებულ ტონს აერთიანებს ერთ ნეიტრალურ ფონად. მაგრამ სწორედ ამ სწრაფვაში ჩნდება სულიერი სიცარიელე - როცა ადამიანები კარგავენ ღრმას, წმინდას, იმ არსებით კავშირს, რაც მათ დროს, სივრცესა და აზრს აძლევს. რელიგია ამ კონტექსტში არ არის სამყაროების გამყოფი ხაზის გამკაცრება. პირიქით - სწორად გაგებული რელიგია შეიძლება გახდეს ანტიგლობალიზაციური სულიერი ანტიდოტი. ის არ კრძალავს კავშირს სხვებთან — ის წარმართავს მას ღირებულებებით, სიღრმითა და წესრიგით. მაგრამ, ამავე დროს, გლობალიზაციის ეპოქაში რელიგიაც იცვლება. იგი ვეღარ იქნება მხოლოდ დოგმატური ჩარჩო — მას სჭირდება ახალ ენაზე საუბარი, ახალ გენერაციასთან, ახლებური სიმართლით, რომელიც უძველეს ფესვებს არ ღალატობს და ტრადიციას პატივს სცემს, მაგრამ გლობალურ ხმაურში სინამდვილეს არ კარგავს. ჩემი განწყობა? მე არ მჯერა რელიგიის, რომელიც ადამიანებს აშორებს ან აფრთხობს, მკაცრად და უხეშად მოუწოდებს რაიმე კონკრეტულისკენ, ეს ყველაფერი ადამიანში, რომელსაც კითხვები უჩნდება, შიშს ბადებს, ხოლო ვისაც არ უჩნდება კითხვა და დოგმატურად მიჰყვება ამ საკითხს - ამპარტავნებასა და თვითკმაყოფილებას. მე მჯერა იმ რელიგიის, რომელიც აგრძელებს ძიებას, შეკითხვებს არ ერიდება და ღმერთს ადამიანში ეძებს და არა სადღაც მოშორებით ცაში. ხშირად ვამბობ რომ რელიგია, ფილოსოფიასთან ერთად ჩემი სფეროა, მაგრამ მინდა განვმარტო, რომ ჩემი მოწოდება, უპირველეს ყოვლისა, ხელოვნებაა და არა რელიგია და ფილოსოფია, ეს ორი ერთგვარი ფუნდამენტის როლს ასრულებს ჩემს მხატვრობაში. ხშირად ვხატავ რელიგიურ სიუჟეტებს, მაგრამ არა კლასიკური გაგებით, არამედ ხშირად ვცვლი თემატიკას, რაც ახლებურად და განსხვავებულად გვანახებს ყველაფერს (მაგალითად „ზეცის დუმილი“, „დანიელი“, „დაკარგული მოციქული“), როცა ჩემი ნახატები რელიგიური თემატიკით იბადებიან, ისინი არ ქადაგებენ, არ ასწავლიან — ისინი ეძებენ. და მგონია, რომ დღეს, გლობალიზაციის ეპოქაში, სწორედ ეს არის რელიგიის როლი — არა პასუხების გაცემა, არამედ კითხვების გაღვივება, რომლებიც ადამიანს საკუთარ თავთან და ღმერთთან დააახლოებს.

- სერაფიმე, ძირითადად წაკითხული ლიტერატურიდან ხატავთ პერსონაჟებს?

- დიახ , ლიტერატურა ჩემთვის შთაგონების წყაროა, მაგრამ არა ჭეშმარიტების საბოლოო ფორმა. როცა ვკითხულობ, მაგალითად, დოსტოევსკის, კამიუს, ან ტოლსტოის, ჩემში არ იქმნება კონკრეტული სახე — იქმნება მდგომარეობა. სწორედ ეს მდგომარეობა ხდება იმპულსი, რომ დავხატო ის, რაც ამ პერსონაჟებზე მეტად არის — თვითონ ადამიანი, მთელი თავისი წინააღმდეგობებით, სურვილებით, დანაშაულებით და მოლოდინებით. ხანდახან მეკითხებიან: „ეს ვინ არის?“ და მე ვპასუხობ: „არ ვიცი. შეიძლება იყოს ჰამლეტი, შეიძლება — მე.“ იმიტომ, რომ ჩემი მიზანი არ არის დავხატო კონკრეტული გმირი — მე ვხატავ ადამიანის შინაგან ტრაგედიას, მის გაურკვეველ ბრძოლას, რაც ყველა დიდ ლიტერატურულ ნაწარმოებს აერთიანებს. ასე რომ, შეიძლება ვკითხულობდე ლიტერატურას, მაგრამ ვხატავ იმ ფენას, რაც პერსონაჟზე ღრმაა — იდეას, განცდას, შინაგან დაძაბულობას, რომელიც სიტყვიდან გამოსვლის შემდეგ უკვე ფანქარში ინაცვლებს.

(დასასრული VI გვერდზე)

- ხ ე ლ ო ვ ნ ე ბ ა -

სერაფიმე მეტრეველი: - ჩემი ნამუშევრები თავად ატარებენ ჩემს იდენტობას

(დასასრული)

- მხოლოდ სოციალურ ქსელში გნათავსებთ ნამუშევრებს? გამოფენა გქონიათ?

-ჩემი ნამუშევრების გაზიარება ძირითადად სოციალური ქსელების მეშვეობით ხდება, რაც მაძლევს საშუალებას, ფართო აუდიტორიას მივაწვდინო ჩემი ხელოვნება და მივიღო უკუკავშირი სხვადასხვა კუთხიდან. ამასთანავე, გამოფენები ჩემთვის მნიშვნელოვანი ეტაპია, რადგან ისინი მაძლევენ შესაძლებლობას, უშუალოდ შევხვდე მაყურებელს და მათი რეაქციები პირადად შევიგრძნო. ამჟამად ვგეგმავ ჩემს პირველ პერსონალურ გამოფენას, რომელიც საშუალებას მომცემს, ჩემი ნამუშევრები ფიზიკურ სივრცეში წარვუდგინო საზოგადოებას და ხელოვნების მოყვარულებს.

სერაფიმე მეტრეველი

- რატომ არაა ავტოგრაფი თქვენს ნამუშევრებზე?

- ჩემს ნამუშევრებზე რომ ხელს არ ვაწერ ეს არაა შემთხვევითი — ეს არის განზრახული და გააზრებული არჩევანი. პირველ რიგში, ვიზუალურად ხელმოწერა ხშირად არღვევს კომპოზიციურ მთლიანობას. ფანქრით შექმნილი ნახატები ძალიან სენსიტიურია ფორმის, ჩრდილისა და სიჩუმის მიმართ, და ერთი ხელმოწერაც კი შესაძლოა უხეშად შეიჭრას იმ ატმოსფეროში, რასაც ნამუშევარი ატარებს. გარდა ამისა, ჩემთვის ნახატი არასოდეს არის „დასრულებული“. ის რჩება ცოცხალ პროცესად, სადაც ყოველი შეხედვა ახალი კითხვის დასმის ტოლფასია. ხელმოწერა კი ხშირად აღიქმება როგორც საბოლოო წერტილი — მტკიცება იმისა, რომ მხატვარმა თქვა ყველაფერი. მე არ მჯერა წერტილების, მჯერა სიჩუმის, რომელიც გრძელდება. მესამე მიზეზი უფრო პირადია: ჩემი ნამუშევრები თავად ატარებენ ჩემს იდენტობას. ჩემი ხელწერა, ჩემი ჩრდილები, ჩემი ფანქრის მონასმები იმდენად გამორჩეულია, რომ ვინც ოდნავ მაინც იცნობს ჩემს სტილს, უკვე იცის, ვინ დგას ნახატის უკან. თუმცა, ავთენტურობის მიზნით, ნამუშევრის უკანა მხარეს ყოველთვის ვათავსებ ხელმოწერას და დეტალებს. ეს ფორმალური ნაწილი რჩება — თუმცა ვიზუალურად, ფრონტალური სივრცე მთლიანად ეკუთვნის თავად ნახატს. არა ავტორს, არა ხელმოწერას — არამედ იმ სამყაროს, რომელიც იქ იბადება

- ამბობთ, რომ ძალიან გიყვართ რაფაელი, ველასკესი და რემბრანტი. მათი გავლენის წილი თქვენს ნახატებში?

- დიახ, ეს სამი ოსტატი — რაფაელი, ველასკესი და რემბრანტი — ჩემთვის არა უბრალოდ

დიდოსტატები, არამედ გზამკვლევები არიან, სრულიად განსხვავებული მიმართულებით. რაფაელისგან ვსწავლობ ჰარმონიის მიღწევას კომპოზიციაში, იმ სიჩუმის გაწონასწორებას, რომელსაც თვალით ვერ დაიჭერ, მაგრამ გულით აუცილებლად იგრძნობ. მის ნახატებში ყველაფერი ერთდროულად დახვეწილი და ადამიანურია — თითქოს სრულყოფილება არასოდეს კარგავს სითბოს. ველასკესისგან ვისწავლე ატმოსფეროსა და სივრცის განცდა ნამუშევარში, მისი ფიგურები არ ყვირიან, მაგრამ მათი დგომა, მზერა, ჟესტი — უკვე არის ამბავი. ის არ აშენებს დრამატულ სცენებს, მაგრამ სწორედ სიჩუმეში აქვს უდიდესი ძალა. მისგან ვისწავლე, რომ ძლიერება არ ნიშნავს ხმაურს — ხშირად, პირიქით. რაც შეეხება რემბრანდტს — მას ყველაზე მეტად ვაფასებ, მისი შუქის და ჩრდილის ურთიერთობა ჩემთვის არა ტექნიკა, არამედ ფილოსოფიაა. ის შუქს იყენებს არა საგნის გამოსახატად, არამედ სულის გასანათებლად. ჩემთვის, როგორც შავი ფანქრის მხატვრისთვის, რ ე მ ბ რ ა ნ დ ტ ი ს გავლენა უდიდესია — ჩრდილის სიღრმეში სინათლის პოვნა არის ჩემი ყ ო ვ ე ლ დ ღ ი უ რ ი ბრძოლაც. ამ სამიდან ვერავის გავლენას ვერ დ ა ა ს ა ხ ე ლ ე ბ პირდაპირ — მაგრამ ისინი არიან ჩემში, ჩემს ფანქარში, ჩემს სივრცეში. ისინი არ ჩანან ჩემს ნახატებში — მაგრამ სწორედ მათი „არ გამოჩენა“ ქმნის იმ ატმოსფეროს, რასაც ჩემი ნახატი ატარებს. ყ ო ვ ე ლ თ ვ ი ს ვამბობდი, რომ თუ გინდა რაიმე საქმეში საუკეთესო იყო, პირველ რიგში, საუკეთესოსგან უნდა ისწავლო.

- მუშაობთ მოსწავლეებთან. პედაგოგმა როგორ უნდა იპედაგოგოს ისე, რომ მოსწავლეს სწავლა სწავლების პროცესი შეაყვაროს, სასიამოვნო და საინტერესო გახადოს?

- ჩემთვის ეს არა თეორიული არამედ პრაქტიკული კითხვაა, 2 წელია მოსწავლეებთან მაქვს ურთიერთობა და პრაქტიკამ, ამ მხრივ, ბევრი რამ მასწავლა. პედაგოგმა მოსწავლე უნდა შეახვედროს საკუთარ თავთან, და არა მხოლოდ მასალასთან. სწავლება არ იწყება მაშინ, როცა მასწავლებელი რაღაცას უხსნის — სწავლება იწყება მაშინ, როცა მოსწავლეს უჩნდება კითხვები. ამიტომ კარგი პედაგოგი არ არის ის, ვინც პასუხებს სთავაზობს, სამწუხაროდ, როდესაც მასწავლებელთან მივსულვარ კითხვით, ან საერთოდ აურიდებია თავი ან საერთოდ სხვა პასუხი გაუცია, ეს ხდება მაშინ, როდესაც საკუთრივ მასწავლებელს არ უყვარს თავისი საქმე და მოვალეობის მოხდის მიზნით აკეთებს ყველაფერს. რატომაა რომ ჩემთან ვინც მოვიდა ყველამ დადო შდეგი? იმიტომ, რომ ერთ დროს, მეც ვიყავი მოსწავლე და მეც მქონდა კითხვები, ხოლო როცა მასწავლებლისგან დამაკმაყოფილებელ პასუხს ვერ ვიღებდი, საერთოდ მეკარგებოდა ინტერესი კონკრეტული საგნისადმი, მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის მაშინაა ურთიერთობა ცოცხალი, როდესაც კონკრეტულ სისტემებს სცდება, ჩემს მოსწავლეებთან ნებისმიერ საკითხსა და თემაზე სასაუბროდ მზად ვარ, მათ აღვიქვამ თანასწორად და არა დაქვემდებარებულად. სანამ ამ საქმეს შევუდგებოდი, კარგად მახსოვს, ფურცელზე ჩამოვწერე ცუდი მასწავლებლის თვისებები და ყოველდღიურად ვამატებდი, მოკლედ დეტალურად აღვწერე როგორია ცუდი პედაგოგი, ჩემ თავს კი მუდამ ვუმეორებდი: „არ იყო ასეთი!“. მოსწავლეს უნდა ჰქონდეს განცდა, რომ ის არაფერს „აფუჭებს“ — რომ შეცდომა არ არის მარცხი, არამედ ნაბიჯი შემოქმედებისკენ. პედაგოგმა უნდა შექმნას თავისუფალი სივრცე, სადაც სწავლა არის თამაში, აღმოჩენა და გაზიარება.მაგრამ მთავარი მაინც ერთია: მასწავლებელი თავად უნდა იყოს შთაგონებული. როცა მოსწავლე ხედავს მის თვალებში ცეცხლს, როცა გრძნობს, რომ მისთვის ეს საქმე ცხოვრების ნაწილია და არა პროფესიული ვალდებულება — მაშინ ინტერესიც ჩნდება და სიყვარულიც მოდის. სწავლება ვერ გახდება სასიამოვნო, თუ მასში არ არის ადამიანური კავშირი. როცა მასწავლებელი ხედავს მოსწავლის დიდ თვალებს, მის უნიკალურ ტემპს, მის შინაგან რიტმს — და არ ცდილობს ყველა ერთ ჭრილში მოაქციოს — მაშინ მოსწავლეც იწყებს საკუთარ თავთან თანამშრომლობას. ასე რომ, საუკეთესო პედაგოგი ისაა, ვინც არ გასწავლის, როგორ უნდა ისწავლო — არამედ ისე გიდგება, რომ სწავლა შენ თვითონ გინდება, მასწავლებელმა უნდა დაგაყენოს გზაზე, მაგრამ გზის გავლა მოსწავლის ვალდებულებაა, თავისი მარცხებითა და გამარჯვებებით, მოსწავლემ უნდა იგრძნოს რომ რასაც მიაღწია მან, ეს დამოუკიდებლად შეძლო.

- ხასიათის შტრიხები....

- უშუალოდ ჩემს ხასიათს თუ გულისხმობთ, თამამად შემიძლია ვთქვა რომ გადაშლილი წიგნივით ვარ, თუმცა ზოგისთვის ეს წიგნი არაბულადაა, ზოგისთვისაც ქართულად, ან უკუღმა დევს ან ძალიან დიდია წასაკითხად, ეს უკვე მე არ მეხება. მაგრამ ჩემზე ხშირად უთქვამთ რომ ჩემთვის ინტენსიურობაა დამახასიათებელი, რასაც ვიწყებ ბოლომდე მიმყავს, არ ვიცი ზედაპირული ურთიერთობები, ისევე როგორც ზედაპირული შემოქმედება, მიყვარს სისწრაფე და, ზოგადად, აჩქარებული ტემპი, სადაც სისწრაფეა იქაა სიცოცხლეც (შეხედეთ არაგვს, მიხვდით ხო?), „სისწრაფე ცუდია! სისწრაფით შედეგს ვერ დადებ!“ დაკვირვებულხართ, რომ ამას მხოლოდ „ნელი“ ადამიანები ამბობენ? იყავი სწრაფი! სწრაფად დაუშვი ბევრი შეცდომა! სწრაფადვე ისწავლე ამ შეცდომებზე! ადამიანი ვინც „ფერარის“ ატარებს, არ მოუსმენს იმის რჩევებს, ვინც ურემზე ზის და უყვირის, ნელა იარეო. ვაფასებ ცოცხალ და უშუალო ურთიერთობებს და რაც მთავარია, შეპყრობილი ვარ ჩემი საქმით, ამის გამო, ხშირად გამიგია ჩემს მიმართ წამოსული კომენტარები რომ ეგოისტი ვარ, მხოლოდ საკუთარ თავზე ვფიქრობ, სხვის განცდებს ყურადღებას არ ვაქცევ, ბევრს ვაიგნორებ და ა.შ. მარტივად რომ ვთქვა, ჩემზე მოფიქრებული „ჭორები“ ბევრად საინტერესოა, ვიდრე ჩემი ცხოვრება. ყველას ერთს ვურჩევდი, ჩამოაყალიბეთ ვინ გინდათ იყოთ, რა გინდათ აკეთოთ გულით და შეინარჩუნეთ ხასიათის სიმტკიცე, ყველას მოსმენა შეიძლება, მაგრამ ყვეალსთან ლაპარაკი - არა. ოცნება აუცილებლად ახდება თუ მას არ უღალატებ, ყველას თავისი ცხოვრება აქვს და არავის განსჯა არ მიყვარს, ხოლო თუ სხვები განმსჯიან, ამას მე ვერ ვაკონტროლებ, ამიტომ დიდად არც ვდარდობ.

- მთავარი მიღწევა თქვნს ცხოვრებაში...

- ადრევე მივხვდი, რომ ოჯახზე მნიშვნელოვანი და ღირებული არაფერია, ადრევე დავაფასე მამის ზრუნვა და დედის უანგარო სიყვარული, ამის გაგებაა ჩემი ყველაზე დიდი მიღწევა.

- პირადი ამბები..

- იყო შემოქმედი ნიშნავს მუდმივ „შეყვარებულობას“

- თავისუფალი დრო... გატაცება, ჰობი..

- მარტივად რომ ვთქვა, მუდამ თავისუფალი ვარ რადგან ყოველ დღე, კვირაში შვიდი დღე ვაკეთებ იმას, რაც მიყვარს, მხატვრობაა ჩემთვის თავისუფლება. მაგრამ ისე არ მინდა გაიგოთ, რომ ამის მეტს არაფერს ვაკეთებ, ძალიან მიყვარს მეგობრებთან და კურსელებთან ერთად ყოფნა, სადმე გასეირნება, გართობა და დროის კარგად გატარება, მილოშ ფორმანის ფილმების ყურება, კლასიკური ლიტერატურის კითხვა და ყველაფერი ის, რაც ადამიანს ახარებს. ახალგაზრდებს რომ აქედანვე ვუთხრა, არ გინდათ ვიდეოთამაშები, რატომ? თქვენც იცით პასუხი.

- შენი ქალაქი შენს ცხოვრებაში... სამომავლო გეგმები თუ უკავშირდება შენს ქალაქს?

- მიუხედავად იმისა რომ უმეტესად თბილისში მიწევს ყოფნა ხაშური ძალიან მიყვარს, ასე რომ სამომავლოდ ბევრ პროექტს ვგეგმავ, როგორიცაა გამოფენების მოწყობა, მოსწავლეების აყვანა და ახალი მეგობრების გაჩენა.

თეა ახალკაცი

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი და გაზეთის რედაქტორი გიორგი გოგალაძე, მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში.